საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი, 28 მაისი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

[illegible] 3 მანეთი. [illegible] 5 მანეთი. [illegible] 100 მანეთი. [illegible] ერთობის ქუჩა № 4 [illegible]

№ 117

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა

№ 117

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროებითი ზავი არ ნიშნავს შერიგებას,

არ ნიშნავს მკვიდრ მშვიდობიანობის დამყარებას.

პირიქით, ნამდვილი ზავი მაშინ იქნება, როცა მტერი იგრძნობს, რომ მოწინააღმდეგე ერთსულოვანი და შეუდრეკელია.

„ერთობის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას თავის თანამშრომელ, პოეტ

ნოე ჩხიკვაძის

უდროოთ გარდაცვალებას.

დამწუხრებული ცოლი მარიამ ჩხიკვაძისა დაობლებული შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 24 მაისს მიხეილის საავადმყოფოში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა მისი დაუვიწყარი ქმარი და მეტად ძვირფასი მამა

ნოე ჩხიკვაძე

პანაშვიდები ქაშვეთის ეკლესიაში ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება კვირას, მაისის 30-ს დილის 12 საათზე, დიდუბეში ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. (ნ 1—1)

მწერალთა კავშირის ბიურო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 24 მაისს, დილის 12 საათზე ფილტვების ანთებით მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა კავშირის წევრი, პოეტი

ნოე ჩხიკვაძე

პანაშვიდები ქაშვეთის ეკლესიაში ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება კვირას მაისის 30 ს დილის 12 ს. დიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. (ნ. 1—1)

ჟურნალ „ცისარტყელას“ სარედაქციო კოლეგია და თანამშრომელნი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას თავის თანამშრომლის პოეტის

ნოე ჩხიკვაძის

გარდაცვალებას. (ნ. 1—1)

ს. ამაშელი ოჯახობით მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელი ძმის

ნოე ჩხიკვაძის

უდროოდ გარდაცვალებას. (ნ. 1—1)

ღრმა მწუხარებისა შინა მყოფნი [illegible] და [illegible] მიხეილ, [illegible] და [illegible] აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას

თეო სიმონის ასული მახარაძისას

რომლის დაკრძალვა მოხდა 27 მაისს დილის 10 საათზე დიდუბის ეკლესიაში. (1701 1--1)

ღრმად დამწუხრებული შვილი ალექსანდრე და რძალი ანნა ჩხეიძეები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს გარდაცვალებას ძვირფასი და დაუვიწყარი

[illegible] ალექსანდრეს ძე ჩხეიძისას.

(1704 1—1)

ძმა ირაკლი დიმიტრის ძე ლომინაძე ამით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამა წლის 30 მაისს (ახ. სტ.) გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულებისა გამო გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის ერთად ერთი ძმის

ივანე დიმიტრის ძე ლომინაძის

[illegible] წმინდა გიორგის ეკლესიაში. (1702 2—1)

მწუხარებით გულ მოკლული და [illegible] აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარის

ლეონიდე (უშუკელო) ნოეს ძე კეჭაყმაძის

უდროოდ გარდაცვალებას. ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება [illegible], კვირას, 30 მაისს (ა. სტ.). (1708 1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე [illegible], შვილები: [illegible] და [illegible] აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ [illegible] (გურია) ამა წლის 24 მაისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი მეუღლე, [illegible] მამა და ბაბუა

არტემ ანტონის ძე სეფერთელაძე

დაკრძალვა მოხდება ს. [illegible] (გურია) შაბათს 29 მაისს წმ. გიორგის ეკლესიაში. (1705—2—1)

დამწუხრებული და გულდათუთქული დედა მარიამი, ცოლი [illegible], ძმები ტარასი და სერგო, რძლები [illegible] და ოლღა, ბიძაშვილი გრიგოლ [illegible] აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ამა წლის მაისის 24, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი, [illegible]

კირილე ზაქარიას ძე წიკვაძე

გამოსვენება მოხდება მაისის 28, [illegible] ქ. № 16. საღამოს 4 საათზე. დაკრძალვა [illegible] კვირას 30 მაისს. (1711—1—1)

დაიწყო მუშაობა

ახლად გახსნილმა [illegible] კავკასიაში და საქართ. რესპუბ. ქალაქთა კავშირის

ნამდვილი გრეხილი

ვენის ავეჯეულობის ქარხანამ

მიიღება შეკვეთა სკამების, კრაოტების, ავტომობილის „დუგების“ და სხვა. შესაკვეთათ და ცნობების მისაღებათ მიმართეთ ქარხნის კანტორაში ანტონიევის ქუჩა № 1 ზერქუზოვის კუთხე. (ნ. 10—7)

მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ

აბრეშუმის პარკის მოგროვების დროს მიახლოვების გამო სამტრედიის ლომბარდის აბრეშუმის მრთველი ქარხანა მეაბრეშუმეთ უთმობს საკუთარ მექანიკურ საშრობს, რომელსაც ჰყავს პერსონალი სპეციალისტების, გასამუშავებლათ და გასაშრობათ ნედლი პარკისა 100 მან. ფუთი. (300 მან. ფუთი სრულიად გამშრობის).

პარტიობით 1500 ფუთზე ზევით დიდ შეღავათიან პირობებში. სიტყვიერი და წერილობითი განმარტებისთვის მიმართეთ ბ-ნ მაცუკელს (დირექტორს სამტრედიის ლომბარდის აბრეშუმის ქარხნისას).

(1694—1—1)

განცხადება

სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 5 ივნისს დილის 12 საათზე ხსენებულ განყოფილებაში მოხდება საჯარო ვაჭრობა ზეპირ შეჯიბრებით და დაბეჭდილ კონვერტებით წარმოდგენილ განცხადებით ჯარისთვის 1920 წ. 15 ივნისიდან 1921 წ. 15 ივნისამდე 250 ათასამდე შეკუმშულ თივის მოწოდების შესახებ. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ უნდა წარმოადგინონ პიროვნების მოწმობა და საწინდრად 10 პროც. თივის ღირებულებისა. იჯარით შეიძლება გაიცეს როგორც მთელი რაოდენობა თივისა, ისე მისი ნაწილი. მოიჯარადრეთ შეიძლება მიეცეს სამნეო განყოფილებისგან გარდაწყვეტილ ფასებში თივის შესაკუმშად საჭირო ზოგიერთი მასალა. დაწვრილებითი პირობები მსურველთ შეუძლიანთ ინახულონ სამნეო განყოფილებაში ყოველ დღე დილის 9 - 3 საათამდე. მისამართი ბარიათინსკის ქ. № 10. (ნ. 3—1)

ს.ს.დ.მ პ. თფილისის სამაზრო კომიტეტი

იწვევს კვირას, 30 მაისისათვის მაზრის ორგანიზაციათა

კონფერენციას

ქ. თფილისში.

დღის წესრიგი: 1) მოხსენებები მომენტზე და 2) პრეზიდიუმისა, 3) პარტიული ყრილობის დღიურ წესრიგის განხილვა, 4) დელეგატების არჩევნები პარტიულ ყრილობისათვის, 5) მიმდინარე კითხვა.

კონფერენცია გაიხსნება დილის 10 საათზე, თფილისი სამაზრო ერობის შენობაში.

(3—2) სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმი.

---

250 მანეთად

დიდი ხნის გამოცდილი საწერ მანქანაზე მაწვრთნელი ქალი ასწავლის მსურველებს „[illegible]“ [illegible] ერთი კვირის განმავლობაში ქართულ მანქანაზე [illegible] [illegible]. მოსწავლეებს [illegible] მანქანის [illegible] ქართულის [illegible] შეუძლიანთ შეისწავლონ ქართული [illegible] დილის 11 საათიდან საღამოს 7 საათამდე. [illegible] 1 ლი [illegible], შემდეგ [illegible] № 5 [illegible] (1702—1—1)

შრომის სამინისტროსაგან

თანახმად სატარიფო პალატის 21 მაისის დადგენილებისა ყველა დამქირავებელმა (საზოგადო და კერძომ), ვისი მუშები და მოსამსახურეებიც კი სარგებლობდნენ სახელმწიფო მომარაგების ფონდით, დაუყოვნებლივ

შემოიტანონ ახალი გადასახადი

1000 მან. თვიურულ კაცზე არა უგვიანეს 1-ლ ივნისისა.

თუ 1-ლ ივნისამდი არ იქმნა წარმოდგენილი გადასახადი, შემდეგ ამისა სურსათი არ მიეცემათ.

ფული შეტანილი უნდა იქნეს თფილისის ხაზინაში № 139185 ანგარიშით და კვიტანცია დაუყოვნებლივ წარუდგინოს სამინისტროს მუშათა მაგიდას.

შრომის სამინისტრო. (ნ. 2—2)

შრომის სამინისტროს განცხადება

შრომის სამინისტრო აცხადებს სახელმწიფო და საზოგადო საწარმოვო დაწესებულებების გამგე მმართველობის, კერძო საწარმოვო დაწესებულებების მეპატრონეთა და აგრეთვე შრომის დამქირავებელთა საყურადღებოთ, რომ სამინისტრომ შემოიღო მუშებთა და დამქირავებელთა შორის ანგარიშის გასასწორებელი ახალი წიგნი, რომლებიც უნდა დაურიგდეს ყველა მუშებს და მოსამსახურეებს, ძველი საანგარიშო წიგნის მაგიერ, მიმდინარე წლის 1-ლ ივნისამდე.

ამ ვადის შემდეგ გაუქმებულია ძველი საანგარიშო წიგნები და ის დამქირავებლები, რომლებიც თავიანთ მუშებს და მოსამსახურეებს არ დაურიგებენ ამ ხნის განმავლობაში ახალ საანგარიშო წიგნებს, — პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი სარეწავი შრომის შესახებ დებულების 212 მუხლის ძალით.

საანგარიშო წიგნი ღირს 10 მანეთი და შეიძლება მიღება შრომის კომისრებთან და შრომის სამინისტროს რწმუნებულებთან თფილისში, ქუთაისში, ფოთში, სოხუმში, ჭიათურაში, ტყიბულში, გორში, ბორჯომში, თელავში, სიღნაღში და გაგრაში.

(ნ. 5—5) **შრომის სამინისტრო.**

[illegible] „ფურგუნი“

საზურავით. ვირგა: ლიმონათის, ლუდის და კონიაკის ქარხნებისთვის. იქვე საჭიროა გამოცდილი დამტარებელი (კონდუქტორი), იკითხეთ კიროჩნი ქ. № 26. ლიმონათის ქარხანა. (1684 3—1)

„საქართველოს კომუნისტური პარტია“

საქართველოს და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების ძალით რუსეთი „[illegible] სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფალ არსებობას“. ადგილობრივ კომუნისტებს ამ პირობების [illegible] საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის კომუნისტურ პარტიის [illegible] კომიტეტი და [illegible] „ცენტრალური კომიტეტი საქართველოს კომუნისტურ ორგანიზაციებისა“. ამ ორგანიზაციულ [illegible] დიდი პოლიტიკური [illegible] აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლშევიკებმა ხელი უნდა აიღონ საქართველოს საქმეებში ჩარევაზე, [illegible] რუსეთის ძალების ჩარევაზე, რომ ისინი [illegible] საქართველოს ხალხს იძულებით, [illegible] საქართველოს შინაურ ცხოვრებაში [illegible] ჩარევაზე [illegible] რომელმაც [illegible] შეთანხმება საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის. [illegible] ჩვენს შინაურ ცხოვრებაში ჩარევა [illegible] შეიძლება იყოს. ჩარევა [illegible] პირდაპირი და არა-პირდაპირი. პირდაპირი ჩარევა იქნება რუსეთის საქმეებში, რომლებსაც [illegible] ინგლისის და სომხეთის ჯარები [illegible] პირდაპირი ჩარევა ჩვენს საქმეებში, რომლებსაც [illegible] „[illegible]“ [illegible] ჩვენს ქვეყანაში [illegible].

[illegible] შინაურ ცხოვრებაში ჩარევა შეიძლება [illegible] საბჭოთა ძალების პირდაპირი შემოსვლის საშუალებითაც. ბოლშევიკებმა ამ გზით [illegible] საქართველოს, [illegible] საბჭოთა მოქმედების საშუალებით. მათ [illegible] ფული შემოჰქონდათ რუსეთიდან საქართველოში. ამ ფულის საშუალებ-

ᲓᲦᲔᲡ

ფრანგული ცნობით პრეზიდენტი ვილსონი თანახმაა გამოიკვლიოს სომხეთის საზღვრები და ამერიკა მიიღებს სომხეთის მანდატს.

უნგრეთის საზავო ხელშეკრულებაზე ხელს მოაწერენ 4 ივნისს.

უკრაინაში პოლონეთის ჯარის მდგომარეობა არ შეცვლილა.

ინგლისსა და არაბეთს შორის შეთანხმება მოხდა მესოპოტამიის და სირიის საზღვრების შესახებ.

გენერალური შტაბის სამხედრო ცნობა

26 მაისი.

26 მაისს ჩვენმა და აზერბეიჯანის პარლამენტიორებმა დასდეს დროებითი ზავი აზერბეიჯანის წინააღმდეგ არსებულ ყველა ფრონტზე ერთი კვირის ვადით.

ამ ერთი კვირის განმავლობაში ორივე რესპუბლიკის დელეგაციათა შორის იწარმოებს მოლაპარაკება ზავის შესაკვრელათ.

დანარჩენ სხვა ფრონტებზე სიწყნარეა.

მით ისინი იძენდენ მრავალ იარაღს და [illegible] საქართველოს მოსისხლე მტრებს. რუსეთი საქართველოსთან შედარებით უზარმაზარი სახელმწიფოა, მისი ბიუჯეტისათვის უმნიშვნელოა ის თანხა, რომლის საშუალებითაც ძნელი არ არის მატერიალურად საქართველოს შინაური ცხოვრების [illegible] და [illegible], და საქართველოს ხალხისთვის რომელიმე პაწია ჯგუფის მიერ თავს მოხვევა იმისთანა პოლიტიკური ნაბიჯებისა, რაც სრულიად ეწინააღმდეგება დიდ უმრავლესობის ინტერესებს, იდეალებს და სურვილებს. ჩვენ მუდამ [illegible] დენიკინელებს, როდესაც ისინი ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის მიერ [illegible] სამშობლოს [illegible] და თითონ [illegible]. მით უფრო ჩვენ სრულიად დაუშვებლად მიგვაჩნია ის ზომები, რომლითაც ჩვენებური ბოლშევიკები [illegible] სახელმწიფო [illegible] საქართველოში და რუსეთის საბჭოთა [illegible] ჩვენში; სრულიად დაუშვებლად მიგვაჩნია გზა რუსეთის [illegible] საქართველოში შემოჭრისა და მის საშუალებით შინაური საქმეების მოწყობისა.

ჩვენ კარგათ გვესმის, რომ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის შეთანხმების [illegible] სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის მოხდა იდეური მორიგება.

სოციალიზმის განსახორციელებლად საქართველოს დემოკრატიას ერთი გზა აქვს არჩეული, ბოლშევიკებს სულ სხვა. მიუხედავად იმ დიდ რყევისა, რომელსაც ამ ბოლო დროს დაეტყო ბოლშევიკების პოლიტიკას, მათ ჯერ ჯერობით არ მიუტოვებიათ თავისი პოლიტიკის მთავარი გზა, უმცირესობის დიქტატურა უმრავლესობაზე. ჩვენთვის ეს გზა სრულიად მიუღებელია. მაშასადამე ამიერიდან ჩვენსა და ადგილობრივ ბოლშევიკებს შორის ახალის ძალით გაჩაღდება იდეური ბრძოლა, მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეს იდეური ბრძოლა იყოს ლოიალური საქართველოს დემოკრატიულ [illegible] ლოიალური კი ეს ბრძოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ ადგილობრივი კომუნისტები აწარმოებენ თავის საშუალებებით, როგორც აწარმოებენ სხვა ჩვენებური პარტიები, ე. ი. თუ ჩვენ სახელმწიფოს [illegible] ბრძოლაში ისინი დაეყრდნობიან შინაურ ძალებს და არ მოიშველიებენ გარეშე [illegible] სახელმწიფოს მიერ [illegible]. საქართველოს კომუნისტებისაგან ჩვენ მოვითხოვთ, რომ მათ ამიერიდან იმოქმედონ, როგორც საქართველოს მოქალაქეებმა და ხელი აიღონ იმ პოლიტიკურ საშუალებებზე, რომლებსაც [illegible] სახელმწიფოს ღალატის სახე ჰქონდა.

თუ ჩვენებური კომუნისტები ამ პირობებს [illegible], საქართველოს დემოკრატია ჩათვლის, რომ მათ უნდათ, თუმცა არა—პარლამენტით, მაგრამ მაინც [illegible] მის სახელმწიფოს შინაურ საქმეებში, ამ შემთხვევაში ჩვენი დემოკრატია მოეპყრობა ადგილობრივ ბოლშევიკებს ისე, როგორც [illegible] ყოველნაირ მოძალადეებს.

ᲞᲝᲚᲔᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

II

სხვის ხახით.

ჩვენი მუშათა კლასის, ჩვენი მშრომელი ხალხის წრეებში ბოლშევიკობას ადგილი არ აქვს. ეს დავინახეთ პირველ მაისს, მუშათა საბჭოს კრებაზე, პროფესიონალური კავშირების, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყრილობაზე, სადაც ამხ. ირ. წერეთელმა და ეგ. გეგეჭკორმა მოხსენება გააკეთეს 26 მაისს. გამოირკვა, რომ მუშებს ბოლშევიკური [illegible]. გამოჩნდა, პირიქით, დიდი ერთსულოვნება მენშევიკების, სოციალ-დემოკრატიული მთავრობის სასარგებლოთ.

ამ მხრივ ჩვენ არავითარი ხიფათი არ მოგველის. ბოლშევიკობა ახლა უფრო გავრცელებულია ინტელიგენციის წრეებში. იმ წრეებში, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა ბოლშევიზმთან. სწორეთ ეს არის საყურადღებო. ბოლშევიკები არ არიან, მაგრამ ბოლშევიკებს [illegible] სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ. და ამის ნიშანია, რომ ამ წრეებს არ აქვთ თავისი იდეოლოგია, ვერაფერს ქმნიან თავისას.

ამაზე შევჩერდი მე ჩემ პირველ პოლემიკურ წერილში. თედო ღლონტი საინტერესო იყო ჩემთვის, როგორც ამისთანა ინტელიგენციის წარმომადგენელი. თედო ღლონტს ჩემი მთავარი აზრი ვერ გაუგია და გაჯავრებული ამბობს,—სად მე, და სად ბოლშევიკები.

მომაგონდა ერთი გუბერნატორი. რუსეთის ერთ დიდ ქალაქში [illegible] ბოლშევიკების [illegible] ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთში [illegible] წერილის მოთავსება. ვწერდი, რომ ამ გუბერნატორის პოლიტიკა არაფრით არ განირჩეოდა ბოლშევიკური პოლიტიკისგან, [illegible]. გუბერნატორმა მეორე დღეს დაიბარა პასუხისმგებელი რედაქტორი.—უთხარით თქვენ თანამშრომელს, რომ მე არასოდეს არ ვყოფილვარ და არც ვარ ბოლშევიკი, მე ამას დავამტკიცებ დოკუმენტებითო.

ასე ეუბნება თედო ღლონტიც. მიმტკიცებს არ ვყოფილვარ და არც ვარ ბოლშევიკიო. მე ეს მჯერა. დოკუმენტებს არ მოვითხოვ ამის დასამტკიცებლათ, მაგრამ საქმეც ის არის, რომ [illegible] ბოლშევიზმისგან ის სწავლობს აზრებს მენშევიკების დასამარცხებლათ.

პირველ „[illegible]" ის სწერდა: —„რუსეთში რევოლიუციამდის მუშის შრომა უფრო უნაყოფო იყო, ვიდრე რევოლიუციის შემდეგ, როცა მუშის მდგომარეობა გაუმჯობესდაო".

იქნება ეს არ უნდოდა ეთქვა თედო ღლონტს, არ ვიცი. ცხადია მხოლოდ, რომ ამ სიტყვებით ის [illegible] ბოლშევიკების ეკონომიურ პოლიტიკას. მე მოვიყვანე მოწმათ თითონ ბოლშევიკები. ისინი არ მალავენ თავის პოლიტიკის [illegible], როგორც ამას [illegible] თედო ღლონტი. ბოლშევიკები თითონ სწერდენ თავის ეკონომიურ გამოცემებში,—არასდროს, არას დროს არ დაცემულა მრეწველობა, როგორც აქ, ჩვენ ხელ ქვეშ დაეცაო*). ლენინი ამ ბოლო დროს ეკონომიური საბჭოების კრებაზე ამბობს, რუსეთი საშინლათ გაღატაკებულია, რუსეთს სული ხდება შიმშილისგანო.

სად არის აქ შრომის ნაყოფიერების ზრდა?

თედო ღლონტს ამ კითხვაზე არც მეორე წერილში მოუცია პასუხი. ის სიტყვას ბანზე იგდებს და ამბობს,—მენშევიკების ხანაშიაც ეცემოდა წარმოება... ეკონომიური ცხოვრება ეცემოდა არა მარტო რუსეთში, არამედ ეცემოდა ინგლისშიაც, საფრანგეთშიაც, გერმანიაშიაც, ყველა მეომარ ქვეყნებშიო.

სწორეთ ამას, სწორედ ამ სიტყვა-სიტყვით ამბობდენ ბოლშევიკები, როცა ჩვენ ვეკამათებოდით რუსეთში. ნუ გაუკვირდება თედო ღლონტს, რომ მის საპასუხოთაც გავიმეორებ, რასაც ჩვენ ვამბობდით ხოლმე ბოლშევიკების წინააღმდეგ.

მენშევიკების ხანა [illegible] რამოდენიმე თვე, ბოლშევიკების—[illegible] მალე სამი წელიწადი იქნება. მენშევიკებს ქონდათ ეკონომიური პროგრამა, რომლის გატარებაც არ დაეცალდათ. თქვენი საქმეა დაამტკიცოთ, რომ ეს პროგრამა არ ვარგოდა. ბოლშევიკებს ეს არ დაუმტკიცებიათ, არც ცდილან ამის დამტკიცებას.

ომის დროს, მართალია, სხვა ქვეყნებშიაც ეცემოდა ეკონომიური ცხოვრება, მაგრამ იქ ხომ [illegible]. ბოლშევიკებმაც ამიტომ აიღეს ხელში მართვა გამგეობა. [illegible], რომ მათი პოლიტიკა უფრო წინ წასწევს ეკონომიურ ცხოვრებას, ვიდრე ბურჟუაზიის პოლიტიკა, ბოლშევიზმი ამ ნიადაგზე დამარცხდა. ვერც ინგლისი, ვერც საფრანგეთი, ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეადგენს რუსეთს ეკონომიური განადგურების მხრივ.

რუსეთის ახლანდელი მაგალითი ჩვენ გვიჩვენებს მხოლოდ, რა არ უნდა ვაკეთოთ. თ. ღლონტს [illegible] არ [illegible]. ყოველ შემთხვევაში ის ამონაწერი, რომელიც მე ამოვიღე მისი წერილიდან, არ შეიცავს ამნაირ დასკვნას. პირიქით, რუსეთის მაგალითი იქონიეთ მხედველობაში და მისი მიხედვით გაატარეთ ეკონომიური პოლიტიკა,—აი რას უჩვენებს თედო ღლონტი ჩვენ მთავრობას.

მის კრიტიკულ აზროვნებას არ ეტყობა დამოუკიდებლობა. ნუ თუ არ იცის, მეკითხება, რომ რუსეთში მთელი მსხვილი ინდუსტრია, სამრეწველო რაიონები, [illegible] შენობები და მიწები მანქანებიან ერთიან გადაეცა სახელმწიფოს, რომ იქ არის ამ გვარად ცდა ორგანიზაციული მეურნეობის [illegible] და კაპიტალისტური წარმოების მოსპობისა.

მე ვიცი, რომ ამისთანა ცდა იყო რუსეთში ამ ორი წლის განმავლობაში. თედო ღლონტს კი არ გაუგია ჯერ ალბათ, რომ ბოლშევიკები ახლა თავს ანებებენ ამ ცდას. ლენინმა, კარგა ხანია, თქვა,—საერთო— კოლექტიური გამგეობა ხელსაყარი არ არის, ერთ პიროვნული გამგეობა უნდა შემოვიღოთ ძალდატანებით, ჯერ ასე უნდა მოვექცეთ და [illegible] კაპიტალისტური ნიადაგიდან გადავიდეთ სოციალისტურზეო. ლენინმა ამით დაგმო მთელი თავისი ეკონომიური პოლიტიკა. ახლა ლენინის მთავრობა [illegible] ტეილორის სისტემით [illegible] მუშათა კლასს. ეს [illegible] ბოლშევიკებს, რომ შრომის ნაყოფიერება იქ თავის თავად გაზრდილიყო, როგორც ეს გონია თედო ღლონტს.

მე ვერ ვნახე მის წერილებში [illegible] მუშათა საკითხის გარჩევა. ამის გასარჩევათ არ კმარა [illegible] და [illegible] წიგნებიდან [illegible] ამოწერა. მე მგონია აქ უნდა [illegible] ადგილობრივი პირობები და ამ პირობებში გაარჩიოთ, რა გაკეთდა, და რის გაკეთება შეიძლება. მაშინ გვეცოდინება, რა ღირსება აქვს და რა ნაკლი ჩვენი მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას. არ ვარგა ბოლშევიკური ძახილის გამეორება, რომ მენშევიკების მთავრობა ისეთივე ბურჟუაზიული მთავრობაა, როგორიც იყო და არის მთავრობა საფრანგეთში და სხვაგან.

პრინციპიალურ კითხვებში არ კმარა და არც საჭიროა დემაგოგია. დემაგოგია ის, ვინც ამბობს,—მუშები [illegible] პირობებში არიან, და ეს მარტო მთავრობის ბრალიაო. პოლიტიკურმა მოღვაწემ უეჭველად უნდა გაითვალისწინოს, რამდენად არ ეწინააღმდეგება ამა თუ იმ ეკონომიური მოთხოვნების დაკმაყოფილება სახელმწიფოებრივ საერთო ინტერესებს. ამ მთავარ პრინციპს ორივე წერილებში გვერდს უვლის თედო ღლონტი, და მართალია ის სინდიკალისტი არ არის, მაგრამ სინდიკალისტობა კი გამოუდის. ისინი ყოველთვის მუშათა [illegible] ინტერესებს უფრო უწევდენ ანგარიშს, ვიდრე სახელმწიფოს.

სინდიკალისტები კი მუშათა საკითხში ბევრათ არ განირჩევიან იმ ბოლშევიკებისგან, რომლებსაც ჩვენ ვიცნობდით [illegible].

ვათავებ იმით, რითაც დავიწყე. იმ ინტელიგენციას, რომელსაც წარმოადგენს თედო ღლონტი, არა აქვს თავისი სახე. სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ის ან სინდიკალისტურათ აზროვნებს, ან ბოლშევიკურათ, თუმცა თითონ არც სინდიკალისტია და არც ბოლშევიკი.

ს. დევდარიანი.

---

*) Народное хоз-во 1919 г.

მოქალაქენო არ დაივიწყოთ, 29 და 30 მაისი ფრონტის დღეებია.

ᲛᲔᲤᲔ ᲗᲣ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

(საფრანგეთის ცხოვრებიდან)

როგორც გაზეთებიდან ვიცით, საფრანგეთის პროფესიონალურ კავშირებმა (სინდიკატებმა) პირველ მაისს საერთო გაფიცვა გამოაცხადეს. ჩვენ არ გვაქვს საკმაო ცნობები ამ გაფიცვის მსვლელობის შესახებ. ვიცით მხოლოდ, რომ [illegible] პარტიები მოითხოვდნენ „შრომის კონფედერაციის" (პროფესიონალური კავშირების ცენტრი) დაშლას. იმავე დროს ვიცით, რომ მთავრობამ მიმართა რეპრესიულ ზომებს გაფიცვის წინააღმდეგ, მაგრამ მეორე მხრივ [illegible] გზას დაადგა და პარლამენტს წარუდგინა მეტად საინტერესო კანონპროექტი რკინის გზის შესახებ. როგორც [illegible], საფრანგეთის რკინის გზების ნაწილი კერძო კომპანიების ხელშია, ხოლო სახელმწიფო რკინის გზას მართავს რესპუბლიკის ცნობილი ბიუროკრატია. ახალი პროექტით ორივე გზების მმართველობა [illegible] იქნება. და იმ საბჭოში, რომლის ხელში იქნება უმაღლესი ხელმძღვანელობა რკინის გზების, შევლენ საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

20 წელიწადია ამ რეფორმას მოითხოვს საფრანგეთის სოციალისტური პარტია. დღეს მისი ბრძოლა გამარჯვებით თავდება. ეს პირველი ნაბიჯია რკინის გზების [illegible] ნაციონალიზაციისკენ. როგორც სჩანს, ტელეგრამებიდან, გაფიცვის და ამ პროექტის გარშემო დიდი კამათი ყოფილა საფრანგეთის პარლამენტში. სხვათაშორის სიტყვა [illegible] მონარქისტების მეთაურს დეპუტატ [illegible]. მის წინააღმდეგ სოციალისტ დეპუტატებს დიდი ობსტრუქცია მოუწყვიათ. ოცი წლის განმავლობაში რეაქციონერ დეპუტატს ხმა არ ამოუღიათ. სოციალისტები ყვიროდენ: „ძირს მეფე, გაუმარჯოს რესპუბლიკასო". სხვა დროს უმნიშვნელო, დღეს საფრანგეთში ეს ინციდენტი სერიოზული მოვლენაა. რეაქცია გამოდის დღეს და ზომიერ რესპუბლიკანელების სახით [illegible] რესპუბლიკის წინააღმდეგ ილაშქრებენ. თავის სიტყვაში [illegible] მიუტევია რადიკალების ლიდერ ბრიანისთვის (ყოფილი სოციალისტი). რესპუბლიკის დაცვის ინიციატივას თავზე იღებდენ სოციალისტები. რადიკალები იძულებული იქნებიან მათ გაყვნენ. [illegible] ძველი ამბავი. დრეიფუსის დროს რეაქციას ებრძოდა ჟორესი და მას გაყვა რესპუბლიკანელები. დღეს ამავე რეაქციას ებრძვიან სოციალისტები და ნამდვილი რესპუბლიკანელები მათ უნდა გაყვნენ. საფრანგეთში დრეიფუსის მოწინააღმდეგეების დამარცხებას მოყვა სახელმწიფოს ეკლესიიდან განცალკევება. დღეს დამარცხებას მოყვება ბიუროკრატიული რესპუბლიკის დემოკრატიულ გადაქცევა.

ა. თეკლათელი.

ფრონტის მთავარი კომიტეტი განაგრძობს შემოწირულებათა მიღებას სასახლეში ყოველ დღე.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

27 მაისი.

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

გაფიცვების გარშემო.

გაფიცვები თავდება, [illegible] ცენტრის დიდი ნაწილიდან იუწყებიან მუშაობის განახლების შესახებ. იუწყებიან, [illegible] და [illegible] წევრები გადასწყვეტენ დაემორჩილონ შრომის საერთო კონფედერაციის განკარგულებას და [illegible] მუშაობას შეუდგნენ. სხვა მრავალ ადგილშიც მუშაობა ნორმალურად მიდის.

პურის მოსავალი.

საფრანგეთში საუცხოვო პურის მოსავალს მოელიან. [illegible] არის, რომ 1920 წლის მოსავალი [illegible] დააკმაყოფილებს იმ შემთხვევაში, თუ [illegible] პურით არ [illegible]. ეკონომისტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ მარტო ცნობა კი ამის შესახებ, რომ ჩვენ არ დაგვჭირდება უცხოეთიდან შემოტანილი პური, ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში პურის ფასის დაცემას. ეს ფასის დაწევა ევროპის დიდ ბაზრებზე უკვე სჩანს.

ფასების დაცემა ინგლისში.

სხვადასხვა ნიშნები ინგლისში პირველ საჭიროებების საგნებზე ფასის დაცემისა იმედს გვაძლევს, რომ საერთოდ ფასიც დაეცემა. კომერსანტები [illegible] იმ აზრის, რომ [illegible] ფასის [illegible] გავლენას იქონიებს ქარხნების ნაწარმოებზედაც. „ტაიმსი" სწერს: ინგლისში და ამერიკაში ნაწარმოებზე ფასის დაცემის [illegible], კომერციულ წრეებში ფიქრობენ, რომ ფასის [illegible] ხელფასის [illegible] გაძლიერებაზე დამოკიდებული. შესაძლებელია, განაგრძობს გაზეთი, რომ ზოგიერთი საგნის ფასი დაეცეს, მაგრამ არავითარი ნიშნები არ არის ფასის საერთო დაცემის შესახებ. ყველაფერი ეს ეხება სასურსათო საგნებს. იუწყებიან, რომ შესაძლებელია ინგლისში ფეხსაცმლების ფასი დაეცეს. [illegible] ფაბრიკანტებს მაღაზიებში დაგროვილი აქვთ დიდძალი ფეხსაცმელი, რომელიც არ [illegible].

უნგრეთის საზავო ხელშეკრულება.

უნგრეთთან საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა დანიშნულია ვერსალში 4 ივნისისთვის.

სომხეთის საზღვრების გამოკვლევა.

ელჩთა კონფერენცია [illegible] ამერიკის მთავრობის განცხადებას შესახებ იმისა, რომ პრეზიდენტი ვილსონი თანახმა არის თავისთავზე მიიღოს სომხეთის საზღვრების გამოკვლევა.

ხალხთა ლიგა.

ხალხთა ლიგის საბჭომ გადასწყვიტა ბრიუსელში დანიშნული საერთაშორისო ფინანსიური კონფერენციის სხდომები [illegible] პირველ რიცხვებისთვის გადადოს.

შეთანხმება არაბებთან.

ლონდონიდან მოსული დეპეშის თანახმად არაბეთის წარმომადგენლებთან შეთანხმების გამო, მესოპოტამიისა და სირიის საზღვრების შესახებ, ინგლისის ჯარი [illegible] გაიყვანს.

ინგლისის ჯარი სპარსეთში.

„პტი პარიზიენი" იუწყება: ინგლისის რაზმი რომელმაც [illegible] დატოვა, რეშტის ევაკუაციას ახდენს და კაზვინ და თეირანის მიმართულებით მენჯილის [illegible] ხიდისკენ იხევს. რუსები ენზელის დაკავებას განაგრძობენ.

ფასის დაწესება ხორბალზე

მინისტრთა საბჭო შეიკრიბა [illegible] მილერანის თავმჯდომარეობით, საბჭომ საბოლოოდ მიიღო კანონ პროექტი, რომელიც ხორბალზე ფასის დაწესების შეეხება.

პოლონეთის ჯარი უკრაინაში.

უკრაინაში პოლონეთის ჯარის მდგომარეობა არ შეცვლილა.

საფრანგეთ საბერძნეთის ჯარი თრაკიაში.

ათინიდან იუწყებიან: საფრანგეთის მთავრობამ საფრანგეთის ჯარს ოფიციალურად მოუწოდა თრაკიაში საბერძნეთის ჯართან თანამშრომლობის გამო.

სპარსეთის შაჰი.

სპარსეთის შაჰი მივიდა [illegible], სადაც იგი ინგლისის წარმომადგენლებმა მიიღეს.

სომხეთის მანდატი

ვაშინგტონიდან მოსული ცნობით პრეზიდენტი ვილსონმა სენატში გადაგზავნა განცხადება ამერიკის მიერ სომხეთზე მანდატის მიღების შესახებ.

სპას კონფერენცია.

გერმანიის მთავრობამ წინადადება მიიღო, რომ მან 21 ივნისისთვის სპაში თავისი წარმომადგენლები გაგზავნოს.

ტყვეების გაცვლა.

გერმანიამ და რუსეთმა ხელი მოაწერეს კონვენციას ტყვეების გაცვლა-გამოცვლის შესახებ.

საზავო კონფერენცია და გერმანიის დელეგაცია.

საზავო კონფერენციამ გერმანიის დელეგაციას ნოტა წარუდგინა მოთხოვნილებით, რომ [illegible] კომისიაში დანიშნული [illegible] (დამახინჯებულია) [illegible] მონაწილეობის მიღებაზე და ბრძანება გასცა, რომ მის [illegible] აგენტებს მუშაობა შეეწყვიტათ.

ისწრაფეთ ყველამ მოიხადოთ თავისი მოვალეობა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

დღეს, საღამოს ხუთ 6 ს. მოხდება საქ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა.

◆ **გარდაცვლილ მგოსნის ნოე ჩხიკვაძის** დაკრძალვა გადაიდო კვირისათვის. დაკრძალვა მოხდება ქართველ მწერალთა პანთეონში. პანაშვიდი ხუთშაბათიდან ყოველ დღე ქაშვეთის ეკლესიაში საღამოს 6 საათზე [illegible]. ნეშტი მისი [illegible] გადმოსვენებულ იქნა ქაშვეთის ეკლესიაში 27 მაისს—საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს დადგენილებით მგოსნის კუბო შემკობილ იქნება ერთად ერთი დაფნის გვირგვინით მწერალთა კავშირისაგან. მგოსნის მეგობრებს, ამხანაგებს და ორგანიზაციებს, რომლებიც მოისურვებენ კუბოს შემკობას ყვავილებით და გვირგვინებით, [illegible] მგოსნის ობლების [illegible] ფონდისთვის.

◆ **ტრედ-უნიონების დელეგაცია საქართველოში.** [illegible] სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ, რომ თფილისში მოელიან მოსკოვიდან ამ ჟამად იქ მყოფ ინგლისის ტრედ-უნიონების დელეგაციას საქართველოს მდგომარეობის გასაცნობათ.

◆ **[illegible] მინისტრმა** 26 მაისს შემდეგი დეპეშა მიიღო სომხეთის მთავრობის თავმჯდომარის და საგარეო საქმეთა მინისტრისაგან: „ჩემი მთავრობის და სომეხი ხალხის სახელით გულითადად გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-2 წლის თავის და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის შექმნის გამო. გულწრფელად [illegible] დამოუკიდებელ საქართველოს და თავის [illegible] ქართველ ხალხს. დარწმუნებული ვარ, რომ ორი მეზობელ და მოძმე ერის [illegible] კავშირი [illegible] თვითმყოფელ ცხოვრების [illegible] უფრო მტკიცედ [illegible] ჩვენს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ თავისუფალ განვითარების გზაზე".

◆ **ქართველ ქალთა საზოგადოების** გამგეობა კვლავ „[illegible]" [illegible], 29 მაისს [illegible] საღამოს 2 [illegible] ლობს ნ. ა. [illegible]. [illegible] 2 საათამდე იწარმოებს. [illegible]

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო კანტორა „განათლების" გამოცემა წიგნი „კომუნისტურ რუსეთში" ამხანაგისა. შეიცავს 88 გვერდს და ღირს 17 მან.

◆ **ქართველ მხატვართა საზოგადოებაში.** დღეს [illegible] მიღებისა საღამოს 6—7 საათამდე. დღესვე დანიშნულია კრება გამოფენაზე მონაწილე მხატვართა საღამოს 8 საათზე, რუსთაველის პრ. № 13.

კრებები.

დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება ქ. ტფილისის პროფ. კავშირთა საბჭოს ჩვეულებრივი სხდომა. განხილულ იქნება მნიშვნელოვანი საკითხები.

— დღეს, საღ. 5 ს. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მე 3 რაიონულ კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა.

— ჩვენი თანამშრომელი გ. მ. გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში" გ. მ. ინიციალებით ხელმოწერილი წერილი—„ორი წლის თავზე" მას არ ეკუთვნის.

ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

[illegible] მომწყობ მთავარ კომიტეტში.

25 მაისს, სასახლეში მომხდარ მთავარი კომიტეტის შეერთებულმა სხდომამ 29 და 30 მაისის დღეების მოსაწყობად გამოყო 10 მთავარი სექციები:

პირველი სექცია—საქონლის შემძენი კომისია, [illegible] ქ-ნი [illegible]. თანამშრომ. [illegible].

მეორე სექციაში [illegible] და ყვავილები ქ. ქ. [illegible], თანამშრომლებს თვით არჩევენ.

მესამე სექციაში დაწესებულებებში ფულის მოგროვება ქ. ქ. [illegible]. თანამშრომლებს თვით არჩევენ.

მეოთხე სექციაში მატარებლების მოწყობა [illegible]. თანამშრომლებს თვითონ არჩევს.

მეხუთე კინემატოგრაფებში, ცირკებში, [illegible] ფულის მოგროვება. ქ. ქ. [illegible].

მეექვსე რაიონში მუშაობს ბ-ნი [illegible].

მეშვიდე მაღაზიები: სასახლისა და ალექსანდროვსკის. სასახლის ბაღში ქ. ქ. ანდრონიკაშვილი, [illegible], ალექსანდრე ქ. ქ. [illegible].

მერვე სახელმწიფო თეატრი და [illegible] ქ. ქ. [illegible], გ. [illegible], ილ. [illegible], პ. [illegible].

მეცხრე ქართული კლუბი და „[illegible]", ქ. ქ. [illegible].

მეათე [illegible] კომისია: ქ. ქ. [illegible].

მთავარი კომიტეტი ყველა მომწყობებს სთხოვს [illegible] სასახლეში მუშაობის მისაღებათ.

ვისაც 29 და 30 მაისს ფრონტის დღეების მოსაწყობათ მუშაობა სურს, უნდა გამოცხადდეს სასახლეში.

ორშაბათიდან კომიტეტი გაზეთებში გამოაცხადებს შემოწირულებათა სიას.

შემოწირულების ასაკრეფი წიგნაკების მიღება შეიძლება მთავარ კომიტეტის კანცელარიაში, სასახლეში.

29 და 30 მაისი ფრონტის დღეა.

ამ ორ დღეს მთელ რესპუბლიკაში უნდა გაიმართოს [illegible] ფულის მოგროვება... [illegible] მოგროვილი, მაგრამ მოთხოვნილებაც დიდია.

ყველა მოქალაქე მოვალეა დაეხმაროს ფრონტს, რითაც შეუძლია.

ყველა მოქალაქე მოვალეა გაიხსენოს ფრონტზე მდგომი გმირები და ამით ფრონტს ზურგი გაუმაგროს.

ხსენებულ ფრონტის დღეებში ყველა მაღაზიებში [illegible] თბილისიდან დანიშნული პირები ყუთებით და წიგნაკებით ფულის მოსაგროვებლათ. [illegible] მუშათა კლუბში გაიმართება შაბათს საღამოს წარმოდგენა, ხოლო [illegible] დიდი [illegible] და მიტინგი.

[illegible] წარმოდგენა, სეირნობა, მიტინგი გაიმართება [illegible] მუშათა კლუბში.

მოქალაქენო! მეტი ყურადღება ფრონტს.

დღეს ფრონტზე დამოკიდებული ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საკითხი, ამიტომ მეტი ყურადღება ფრონტს!

მეტი სიუხვე შემოწირულების ხაზით.

მოვიხადოთ ჩვენი ვალი ფრონტის წინაშე!..

პირველი რაიონის კომისია.

— დეპუტატმა აკ. ჩხენკელმა სოხუმიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: „[illegible] ფრონტისათვის ქართულ ეროვნული საბჭოს სახელით ასი ათას მანეთს და გთხოვთ [illegible] ჩვენს სახელით გმირებს რესპუბლიკის დამცველთ თქვენი სურვი-

ლისამებს სანგრები. ქართულ გვარდიულ ხაზების თავმჯდომარე ექიმი გრიგოლია.

დეპუტატმა ალექსი ჩხენკელმა სამადლობელი დეპეშით აცნობა, რომ თანხის მიღებისთანავე ის მას გადასცემს დამფუძნებელ კრების კომისიას, რომლის თავმჯდომარე თვითონ არის და ეცდება გადაუგზავნოს ჩვენს დამცველებს საჩუქრები.

მშვიდობით!

I

„მშვიდობით, მხოლოდ ცრემლებით
შენ დამინამე პირი მე.
და მაგ სათუთი ხელებით
დამმარხე შენი პირი მე."

ასეთი იყო უკანასკნელი ვედრება ნოე ჩხიკვაძისა.

იგი დღეს დასამარხავია.

დამარხავენ... ეს ჩვენ ვიცით.

თვით უპირებდა დამარხვას საშინელ სიკვდილს, მაგრამ დიცვა გზაჯვარედინზე.

გამარჯვებული სიკვდილი დღეს დაეჯილდოებს მას:

კუბოთი—

ყვავილებით...

შეიძლება ახალი ტანისაცმელიც შეუკერონ.

ეს მტრობა, რომ ცხოვრებას დასცინის!

მან გაიმარჯვა.

ვინმე იკითხავს:

— ვის ასაფლავებენ?

— პოეტს!

— საიდან მოვიდა?

— წამების ეკლიანიდან.

— რად მოკვდა?

— ჩვენ არ დავინდეთ.

— არავის არ შეებრალა?

— სიბრალული მას არ სჭიროდა.

— საბრალო!

და აქვითინდება ლამაზი თვალები... მის ცრემლებს შეუერთდება სხვების საცრემლე.

ცხოვრება ითამაშებს სასაცილო ვოდევილს.

II

მე მას ვუსმენდი. მისი მჯეროდა.

სიმღერებში იგი არ სტყუოდა.

მისი აკანკალებული სული ცხადად ჩანდა ლექსში.

მისი მშვიდი სახე, ანთებული თვალები არასოდეს არ მომშორდებიან.

ის არასოდეს არ ყოფილა [illegible] და ეს ფიქრი მეჯახება მასთან.

ყველაფერი იცოდა პოეზიისათვის.

განიცადა კვდებოდაც!

ერთხელ მითხრა: მე ჯერ წერა არ დამიწყია.

ის გრძნობდა რომ „პოეზიის მზამზარეულ ყვავილებს" გაზრდა უნდოდა.

ის განიცდიდა პოეტის მძიმე მოვალეობას.

ეძებდა ახალს [illegible].

ის სტიქიონური ცეცხლი, რომელიც მან დაანთო რევოლუციონურ პოეზიაში, მაინც უპირობოდ იწვის.

მას შეეძლო ისე დაეწვა, რომ [illegible] მის სულში დანთებული ცეცხლის.

გადაიქცა სხვა. დაეშვა დასაწვავი.

შეუდარებელი მოვიდა, შეიპყრო განთიადს, მაგრამ განთიადით არ გაუხარებია მისი თვალები.

ბედისწერა [illegible]!

მეგობრებმა [illegible], მეგრი გულიანი სიკვდილი გრძნობით, მეგრი გზა გაუკეთდა.

თვით უბედური იყო! გადამწვარი!

ბრძოლაში დაიღალა. მაგრამ ყოველთვის იყო პოეზიის დიდოსტატი. ეს ბრძოლით არ იცლიდა.

დალია ერთ გული, ტკბილ მოგზაური.

წრფელი იყო მისი გული და ვინ იცის რამდენი გრძნობა ჩამარხა მასში გამოუთქმელად.

აღარ დაიცალა.

III

მშვიდობით! გეტყვი შენივე უკანასკნელი ლექსით.

დღეს 26 მაისია.

დღეა საქართველოს აღდგომის ზეიმისა!

მე შენზე უკანასკნელ გამოსამშვიდობებელს ვწერ!

26 მაისი

შენ ხომ გადაგირჩა ეს დღე! შენი ოცნება ხომ საქართველოს მკვდრეთით აღდგომა იყო.

შენ ხომ უყვარდი ამირანს ასაწყვეტად!

ამირანი აწყვეტილია, მაგრამ შენ ვე დარ ავნებებ მისი ცეცხლით!

მშვიდობით.

მაქ მაინც დაიძინე

პოეზია არ დაიღუპოს.

ხარიტონ ვარდოშვილი.

მაისის 26.
თფილისი.

„წითელ" აზერბეიჯანში

(განჯიდან).

„კრასნი ვოინ"-ის ფურცლებზე—ჩვენ შებრძოლეთ სიტყვები და სტენ[illegible]"-ს განყოფილებაში ვხედავთ წითელი არმიელი შეხვდური სწერს: „დაეხმარეთ დატაკებს! შეიარეთ თეატრებში, კაფეებში, რესტორანებში. თქვენ შემდეგ მით მოსპობილი, მდიდრულად ჩაცმულ ხალხს. მათი სახის გამომეტყველება მათ კმაყოფილებას მოწმობს. და ეს მაშინ, როდესაც ქალაქის განაპირა უბნებში შიმშილით და სიცივით იხოცებიან მშრომელნი... ნუ თუ იმ კმაყოფილებმა ხალხმა დახმარება არ უნდა აღმოუჩინონ ამ ჩაგრულთ? ნუ თუ დრო არ არის, დაწყებულ იქნას ამ მხრით მუშაობა?! ჩვენ წითელ არმიელები, იმედს გამოვთქვამთ, რომ სათანადო ყურადღება მიექცევა ამ დატაკთა უმწეოთ დარჩენილ ბავშვებს".

განათლებისათვის! № ის რაზმის საშეფერენო კომანდებში მოხდა ყრილობა წითელ-არმიელებისა, რომელზედაც გადაწყდა დაჟინებით კულტურულ განმანათლებელი „ისპლიკა" წიგნებ არმიელებისათვის წერა კითხვის სასწავლებლად. მაგრამ გამოჩნდნენ ზოგი ამხანაგები, რომლებსაც ეს დაწყებულება სასაცილოდაც არ მყოფნით... ავტორი ცდილობს დაუმტკიცოს თავის ამხანაგებს, რომ უკანასკნელთა მოქმედება დასაძრახისია და რომ საჭიროა ჯარში კულტურული მუშაობის წარმოება!

ყოველი კერძო ტრანსპორტი, რომელიც ფრონტზე იგზავნება უნდა დამტკიცდეს მთავარი კომიტეტის კანცელარიაში, რათა იცოდნენ სად და რამდენი რა იგზავნება.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციებს!

პარტიულ ორგანიზაციათა თათბირზე 26 მარტს დადგენილ იქნა ყრილობის მაისში მოწვევა. სხვა და სხვა გარემოებათა გამო ეს არ მოხერხდა

შექმნილი მდგომარეობა გვავალებს ყრილობის დაჩქარებით მოწვევას. ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა **საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყრილობა მოიწვიოს 6 ივნისს 12 საათზე** ქ. თფილისში.

ვაცნობებთ რა ამ დადგენილებას პარტიულ ორგანიზაციებს, ვთხოვთ მიიღონ შესაფერი ზომები, რომ დანიშნულ დროზე გამოცხადდენ მათ მიერ არჩეული დელეგატები ცენტრალური კომიტეტის ბინაზე.

ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა.

პარტიული თათბირის დადგენილებით, რომელიც მოხდა 25—26 მარტს და დაადასტურა ცენტრალურმა კომიტეტმა, ყრილობისთვის მიღებულია შემდეგი დღის წესრიგი:

მოხსენებანი:

1. ცენტრალური კომიტეტისა.
2. საკონტროლო კომისიისა.
3. მთავრობის წევრებისა.
4. ფრაქციის.
5. მიმდინარე მომენტი.
6. კონსტიტუციის პროექტის განხილვა.
7. ფინან.-ეკონომიური პოლიტიკა.
8. პროფესიონალური მოძრაობა.
9. კოოპერატიული პოლიტიკა.
10. მუნიციპალური პოლიტიკა.
11. აგრარული პოლიტიკა.
12. ჯარი და სახალხო გვარდია.
13. პარტიული მუშაობა.
14. პარტიული გამომცემლობა.
15. დამოკიდებულება სხვა და სხვა პარტიებთან.
16. ინტერნაციონალი.
17. არჩევნები ცენტრალურ კომიტეტისა და საკონტროლო კომისიისა.

პარტიული წესდების 11 §-ის თანახმათ ადგილობრივი ორგანიზაციები ყრილობაზე გზავნიან დელეგატებს თითოს ყოველ 400 წევრზე. იმ ორგანიზაციებს, რომელნიც მაზრას და დიდ ქალაქებს ხელმძღვანელობენ და რომელთაც სათავეში კომიტეტი უდგია, უფლება ეძლევა ყრილობაზე ერთი დელეგატის გაგზავნის იმ შემთხვევაშიაც, როცა პარტიის წევრთა რიცხვი 400-ზე ნაკლები ითვლება.

დელეგატთა არჩევის წესს თვით ადგილობრივი ორგანიზაცია იმუშავებს.

26 მაისი

თფილისში

დღის ქუჩებში.

საქართველოს დამოუკიდებლობის მეორე წლისთავი თფილისში ნინებულად ზეიმდებოდა, რასაც ხელს უწყობდა სხვა თანორის კარგი ამინდიც.

დილის 7 საათზე, საგანგებო მეთოფეებმა ქალაქი დაიარეს და საყვირის ხმით ამცნეს დღესასწაული.

ქალაქის ქუჩები და სახლები ბევრ ადგილას წინადღითვე იყო მორთულ-მოკაზმული და დროშები გამოფენილი, ხოლო 26 მაისს კი ქალაქმა ადრე დილითვე მიიღო უკვე სავსებით სადღესასწაულო სახე.

